თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1651324

ნომერი: AR1268975

თარიღი : 27.11.2014

გაცემის თარიღი : 24.12.2014

გაცნობის თარიღი : 24.12.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ცაბაძე , N 8-ბ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ცაბაძე , N 8-ბ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ცაბაძე , სატრანსპორტო გაერთიანების ტერიტორიიდან; ქალაქი თბილისი , ქუჩა ცაბაძე , სატრანსპორტო გაერთიანების ტერიტორიიდან;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო გვასალია პ/ნ 62007005475
- გაგრა დ. განთიადი ოქტომბრის ქ. N 189

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- სავაჭრო ობიექტები
  - სავაჭრო ცენტრი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისადა სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13

გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“ თანახმად

გადაწყვეტილება

საპროექტო ობიექტი: სავაჭრო ცენტრი;

ფუნქცია: საზოგადოებრივი;

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი (საკადასტრო გეგმა): #01.13.07.020.064, #01.13.07.020.065, #01.13.07.020.063, #01.13.07.020.062;

მიწის ნაკვეთის ფართობი: 215კვ.მ, 124 კვ.მ, 761 კვ.მ, 1430 კვ.მ (საერთო ფართობი 2530 კვ.მ);

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ფუნქციური ზონა: საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1) (იხ.დანართი);

ქალაქგეგმარებითი პარამეტრების განსაზღვრა:
საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2)

- მიწის ნაკვეთის მაქსიმალური კოეფიციენტი კ1=0.7
- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი: კ2=4.6
- მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი: კ3 =0.1

მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების დომინირებული ფუნქციური სახეობა:
საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2) – განაშენიანების მაღალი ინტენსივობის ზონა, მათ შორის კარკასი სადაც დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით;
სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1) – წარმოადგენს სატრანსპორტო ზონას, რომელიც მდებარეობს ადმინისტრაციულ საზღვრებში და მოიცავს არსებულ და საპროექტო (პერსპექტიულ) ქუჩებს, გზებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს, გზაგამტარებს, დროებით ავტოსადგომებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს (ჩამონათვალის ფარგლებში _ ტროტუარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, დროებით ჯიხურებს).

შენიშვნა: 1) პროექტის შეთანხმების სტადიაზე წარმოდგენილი იქნეს #01.13.07.020.064, #01.13.07.020.065, #01.13.07.020.063 და #01.13.07.020.062 საკადასტრო ერთეულების გაერთიანებული საკადასტრო გეგმა;

.

2) შენობა–ნაგებობის განთავსებისას დაცული იქნეს სქემაზე დატანილი განაშენიანების რეგულირების ხაზი (5.0მ.) (იხ.დანართი);

.

3) შენობა–ნაგებობის სიმაღლის სხივის განსაზღვრა განხორციელდეს ცაბაძის ქუჩის მხრიდან;

.

4) წერეთლის სახელობის სკვერის მხარეს, მიჯნაზე, საპროექტო შენობა–ნაგებობაზე ღიობების მოწყობის შემთხვევაში წარმოდგენილი იქნეს მესაკუთრეების შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა;

.

5) ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების ანგარიში განხორციელდეს საპროექტო ტერიტორიაზე მოქმედ ფუნქციურ ზონებს შორის საზღვრის დაცვის გათვალისწინებით (იხ. დანართი);

- შენობა–ნაგებობა განთავსდეს საკადასტრო რუკით დადგენილი საზღვრების ფარგლებში (განაშენიანების რეგულირების ხაზის გათვალისწინებით) ,,ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები"–ს მუხლი–34 მიხედვით;
- შენობის მიწისქვეშა სივრცის გამოყენება მოხდეს საპროექტო ობიექტის ფუნქციის და ნაკვეთის შესაძლებლობის შესაბამისად;
- დაცულ იქნეს მიწის ნაკვეთის საზღვარზე (მიჯნაზე) სამშენებლო წესებისა და ნორმების მოთხოვნები;
- ღია და დახურული ავტოსადგომები მოეწყოს საკადასტრო რუკით დადგენილ საზღვრებში;

<u>პროექტის შეთანხმების სტადიაზე წარმოდგენილ იქნეს:</u>
- ინფორმაცია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების თაობაზე აქტის რეკვიზიტების მითითებით;
- ტოპოგრაფიული გეგმა მ1:500; (მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების, არსებული საინჟინრო-კომუნალური ქსელების, შენობა-ნაგებობის განთავსების, მისასვლელი გზების, ღობეების, გამწვანების ჩვენებით)(ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ);
– საინჟინრო კომუნიკაციების არსებობის შემთხვევაში, დაცულ იქნეს სამშენებლო ნორმები, როგორც მიწის ნაკვეთზე, ასევე მის მიკნაზე; გადატანის შემთხვევაში ცნობა შესაბამისი სამსახურებიდან;

<u>მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიაზე წარმოდგენილ იქნეს:</u>
–მესაკუთრეების შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა;
- საინფორმაციო დაფის (ბანერის) ფოტოები გადაღებული ახლო და შორი მანძილიდან;
- მშენებლობის ორგანიზების პროექტი (მხოლოდ უნდა მოიცავდეს მშენებლობის განხორციელების გრაფიკს მშენებლობის ეტაპების ხანგძლივობის
გათვალისწინებით);

- მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (გადახდილი საპროექტო ობიექტის განაშენიანების ფართობის მიხედვით 1 კვ.მ-ზე 1 ლარის ოდენობით).

<u>მშენებლობის დაწყებამდე დამკვეთმა სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებული ეგზემპლიარი და პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით შემდეგი დოკუმენტაცია</u>:

- მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა;
- საჭიროების შემთხვევაში შენობა-ნაგებობების და მიწის ნაკვეთის კვლევა;
- საჭიროების შემთხვევაში საექსპერტო შეფასების განხორციელება მომიჯნავედ არსებული შენობა–ნაგებობების მდგრადობის შესახებ;
- საექსპერტო შეფასების განხორციელება ობიექტის კლასიდან გამომდინარე;
- მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი;
- საპროექტო შენობა-ნაგებობების კონსტრუქციული სქემა ან პროექტი ობიექტის კლასიდან გამომდინარე;

- ტერიტორია კეთილმოეწყოს და გამწვანდეს;
- ხე–ნარგავების არსებობის შემთხვევაში შენარჩუნებულ იქნეს ისინი; ხის მოჭრის ან გადარგვის აუცილებლობის შემთხვევაში აღებული იქნეს შესაბამისი ნებართვა ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიის და გამწვანების საქალაქო სამსახურიდან;

<u>არქიტექტურულ პროექტში გათვალისწინებული იქნეს</u>:
- ფანჯრების, ფრამუგებისა და კარის სპეციფიკაცია;
- საჭიროების შემთხვევაში მოხდეს დამცავი საშუალებების (ჟალუზების და გისოსების) განთავსება;

- შენობის სახურავის გეგმა (საკადასტრო საზღვრის პროექციის ჩვენებით);
- შენობა-ნაგებობის ფასადები, ჭრილები, გეგმები;
- გათვალისწინებული იქნეს გარემოსდაცვითი და სანიტარული კანონმდებლობის მოთხოვნები;
- მოეწყოს უნარშეზღუდულთა ეტლების გადაადგილებისათვის პანდუსი.
-გამოიყოს ადგილი სანაგვე ყუთის განსათავსებლად.

მშენებლობის ნებართვა გაიცემა ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების შესაბამისად.

წინამდებარე მშენებლობის ნებართვის გაცემის პირველი სტადია – მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები ძალაშია მისი გაცემის თარიღიდან ხუთი წლის განმავლობაში.

2009 წლის 17 აპრილიდან კოეფიციენტების ანგარიში ხდება ქ.თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4-13 გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების მუხლი 15, 16, 17-ის შესაბამისად ;

არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა წარმოდგენილი უნდა იქნეს ”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ”- საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების მუხლი 47-ის შესაბამისად:

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.